



# ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

## შპს „ინო-ლაბი“

უსაფრთხოების პასპორტი ევროკავშირის დირექტივის № 1907/2006 (GHS 2.0) შესაბამისად სავაჭრო დასახელება: ელექსირი ვაზისთვის	ვერსია: 1.5 შესწორებულია: 20.02.2018 გვერდი: 1 2-დან
--	--

<b>1. ნივთიერების/პრეპარატის სახელწოდება და საფირმო დასახელება</b>			
<b>პროდუქტის მონაცემები:</b> სავაჭრო დასახელება: ელექსირი ვაზისთვის  დამხმარე საშუალება მცენარეებისთვის. გამოიყენება მევენახეობაში.	<b>მწარმოებლის მონაცემები:</b> შპს „ინო-ლაბი“ მ.ბროსეს ქუჩა #2 ტელ. +995 322 033 233		
<b>2. შემადგენლობა/შემადგენელი კომპონენტების მონაცემები</b>			
<b>ქიმიური დახასიათება:</b>	თხევადი ნარევი, დამზადებული ელექტროაქტივირებული წყლის ბაზაზე. შეიცავს 600 მგ/ლ-მდე FAC (თავისუფლად ხელმისაწვდომ ქლორს) და ბუნებრივად აქტივირებულ ცეოლით-კლიოპტილოლიტს. ელექსირი ვაზისთვის არ შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ და საშიშ ნივთიერებებს.		
<b>ნივთიერებები:</b>	რაოდენობა	სიმბოლო	რისკის R-ფრაზები
ნატრიუმის ჰიპოქლორიტი (NaOCl) – CAS (ქიმიური რეფერატული სამსახური) - No. 7681-52-9 / EINECS (არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ჩამონათვალი) - No. 231-668-3 რეგისტრაციის ნომერი -No. 017-011-00-1, REACH Reg. (ქიმიური ნივთიერებების მიმოქცევის რეგულირების, რეგისტრაციის, ექსპერტიზისა და ლიცენზირების რეგლამენტი) -No. 01-	0,21 %	Xi	R31/52/53 S2/13
			უსაფრთხოების S-ფრაზები



## ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

2119488154-34-0033	0,05 %	C	R31/52/53	S2/13
<p>ჰექლოროვანმჟავა (HCIO) – CAS (ქიმიური რეფერატული სამსახური) -No. 7790-92-3 / EINECS (არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ჩამონათვალი) -No. 232-232-5 /</p> <p>ჰიპოქლორიტის იონი (OCI-) – CAS (ქიმიური რეფერატული სამსახური) -No. 14380-61-1 / EINECS (არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ჩამონათვალი) -No. 231-668-3</p>	0,01 %		0	0
<p>ცეოლიტი- კლიოპტილოლიტი CAS (ქიმიური რეფერატული სამსახური) -No. 1318-02-1/ EINECS (არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ჩამონათვალი) -No. 215-283-8, 930-915-9 REACH (ქიმიური ნივთიერებების მიმოქცევის რეგულირების, რეგისტრაციის, ექსპორტიზისა და ლიცენზირების რეგლამენტი) -No. 01- 2119429034-49-0012</p>				
<b>3. შესაძლო საფრთხეები:</b>				
<p><b>ფიზიკურ-ქიმიური საფრთხეები</b> რეაქციაში შედის მჟავებთან, რა დროსაც თავისუფალი სახით გამოიყოფა ქლორის გაზი. <b>საფრთხეები ადამიანის ჯანმრთელობისთვის:</b> არ წარმოადგენს სახიფათო ნივთიერებას.</p>				



# ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

<p><b>საფრთხეები გარემოსთვის:</b> წინასწარი დამუშავების გარეშე დიდი რაოდენობით ნარჩენების ჩამდინარე წყალში ჩაღვრის შემთხვევაში შესაძლოა, ზიანი მიადგეს მიკროორგანიზმებს.</p>
<p><b>4. პირველადი დახმარების ღონისძიებები</b></p> <p><b>თვალში მოხვედრისას:</b> განსაკუთრებული დაცვა აუცილებლობას არ წარმოადგენს. თვალში შესაძლო მოხვედრის შემთხვევაში საჭიროა საფუძვლიანად ამორეცხვა.</p> <p><b>კანზე მოხვედრისას:</b> დაიბანეთ გამდინარე წყლით და გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი.</p> <p><b>გადაყლაპვის შემთხვევაში:</b> გამოირეცხეთ პირი და დალიეთ დიდი რაოდენობით წყალი. მიაკითხეთ ექიმს და აჩვენეთ ეტიკეტი.</p>
<p><b>5. ღონისძიებები ხანძრის შემთხვევაში</b></p> <p>პროდუქტი არ არის აალებადი ან ფეთქებადი. თუმცა ძლიერი ხანძრის დროს შესაძლოა, დადნეს პლასტმასის ჭურჭელი. პროდუქტის დაღვრისას არ გამოიყოფა საშიში ორთქლი. სასუნთქი ორგანოების დაცვა სავალდებულო არ არის.</p>
<p><b>6. ღონისძიებები უნებლიე დაღვრისას</b></p> <p><b>ადამიანებთან მიმართებით:</b> იხ. პუნქტი 8</p> <p><b>სიფრთხილის ღონისძიებები, გარემოს დაცვის ღონისძიებები:</b> არ დაუშვათ დაღვრილი პროდუქტის მოხვედრა ჩამდინარე წყლებში. ის უნდა შეგროვდეს პლასტმასის ჭურჭელში უტილიზაციის მიზნით (იხ. პუნქტი 13, მითითებები ნარჩენების მოცილებისთვის).</p> <p><b>გაწმენდის მეთოდები:</b> ასაწმენდად გამოიყენეთ სითხის შემკვრელი მასალა (ქვიშა, კიზელგური, მჟავის შემკვრელი, უნივერსალური შემკვრელი, ნახერხი).</p>
<p><b>7. გამოყენება და შენახვა</b></p> <p><b>გამოყენება:</b> დაიცავით გამოყენების ინსტრუქცია. პროდუქტის გამოყენების დროს არ შეიძლება საკვების მიღება, დალევა ან მოწევა.</p> <p><b>შენახვა:</b> შეინახეთ ბნელ, გრილ ადგილას. ჭურჭლის დაზიანების შემთხვევაში პროდუქტი გამოიყენეთ დაუყოვნებლივ.</p> <p><b>შენახვის ტემპერატურა:</b> +4°-დან 30° C-მდე.</p> <p><b>მითითებები სხვა ნივთიერებებთან ერთად დასაწყობებისთვის:</b> არ შეინახოთ ზედმეტად ცხელ ადგილას და მჟავა პროდუქტების სიახლოვეს. დასაწყობეთ საკვები ნივთიერებების, სასმელის და ცხოველის საკვებისგან მოშორებით.</p> <p><b>შენახვის კლასი და კლასი აალებადი სითხეების ინსტრუქციის მიხედვით:</b> არ არის მოცემული</p>
<p><b>8. ნივთიერების ზემოქმედების შეზღუდვა და პირადი დამცავი აღჭურვილობა</b></p> <p><b>დასაშვები ზღვრული კონცენტრაცია:</b> პროდუქტი არ შეიცავს სამუშაო ადგილზე დასაშვები ზღვრული კონცენტრაციის მქონე ნივთიერებებს მნიშვნელოვანი რაოდენობით.</p>



# ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

**უსართხობის და ჰიგიენის ზოგადი ღონისძიებები:** თავი აარიდეთ პროდუქტთან კონტაქტს საჭიროების გარეშე. არ მიიღოთ საკვები, არ დალიოთ და არ მოწიოთ სამუშაო ადგილზე. მკაცრად დაიცავით სისუფთავის ნორმები. არ დაუშვათ ნივთიერების სუფთა სახით კონტაქტი თვალბინთან ან ლორწოვან გარსთან.

**პირადი დამცავი აღჭურვილობა:** სასუნთქი ორგანოების, ხელების, თვალბინის და სხეულის დაცვა სავალდებულო არ არის.

## 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

აგრეგატული მდგომარეობა:	თხევადი
ფერი:	უფეროდან ოდნავ მონაცრისფრომდე
სუნი:	მსუბუქი ქლორის სუნი
pH-მაჩვენებელი:	3,0-4,0
სიმკვრივე:	1,05-1,1 გ/სმ <sup>3</sup> (25°C)
სიბლანტე:	1.8 მპა' წმ
წყალში ხსნადობა:	ხსნადი - სრულად ერევა წყალს
დნობის ტემპერატურა/ დნობის დიაპაზონი:	არ გამოიყენება
დუღილის ტემპერატურა/ დუღილის დიაპაზონი:	არ გამოიყენება
აალების ტემპერატურა:	არ გამოიყენება
თვითაალებადობა:	არ არის თვითაალებადი
აფეთქების საშიშროება:	პროდუქტი არ არის აფეთქებასაშიში. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ტემპერატურის ძლიერი მატება, ჭურჭელი და კანისტრები უნდა განიავდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი სკდომა.

## 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

**სტაბილურობა:** ნორმალურ პირობებში სტაბილური პირობები, რომლებსაც თავი უნდა აარიდოთ: ყინვა, სიცხე (ორთქლის წარმოქმნა დაახლოებით 40°C-დან)

**ნივთიერებები, რომლებსაც თავი უნდა აარიდოთ:** დანიშნულებისამებრ გამოყენებისას საშიში რეაქციები ცნობილი არ არის.

**საშიში დაშლის პროდუქტები:** სათანადო მოპყრობის შემთხვევაში საშიში დაშლის პროდუქტები ცნობილი არ არის.

## 11. ტოქსიკოლოგიური მონაცემები

**თვალბინის/კანის გაღიზიანება:** სათანადო გამოყენების შემთხვევაში არ არის ტოქსიკური, არ იწვევს გაღიზიანებას.

## 12. ეკოლოგიური მონაცემები

**მობილობა:** წყალში ხსნადი

**მდგრადობა და დაშლადობა:** ბიოლოგიურად დაშლადი



# ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

<p><b>ბიოაკუმულაციური პოტენციალი:</b> ბიოაკუმულაციური პოტენციალი არ გააჩნია  <b>სხვა დამაზიანებელი ზემოქმედებები:</b> ეკოლოგიურად კეთილსაიმედო</p>		
<p><b>13. მითითებები უტილიზაციისთვის</b></p> <p>უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ადმინისტრაციული რეგულაციების თანახმად. ნარჩენების უტილიზაციის კოდი ნარჩენების ევროპული კატალოგის მიხედვით - EAK 070608. შეფუთვის გამოყენება შემდგომი უტილიზაციისთვის დასაშვებია მხოლოდ ნარჩენებისგან გათავისუფლების შემდეგ შეფუთვა უნდა გასუფთავდეს წყლის მეშვეობით.</p>		
<p><b>14. მონაცემები ტრანსპორტირების შესახებ</b></p> <p>არ მიეკუთვნება სახიფათო ტვირთებს შემდეგი სატრანსპორტო ინსტრუქციების მიხედვით: ADR (ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ)/RID ( შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ) IMDG (სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საზღვაო კოდექსი)/IMO ( საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია) IATA (საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია) /ICAO (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია), GGVS (სახიფათო ტვირთების საავტომობილო გზებით გადაზიდვების ინსტრუქცია).</p>		
<p><b>15. ინსტრუქციები</b></p> <p>მარკირება ევროკავშირის №1907/2006 (GHS 2.0) დირექტივის თანახმად</p>		
საფრთხის ნიშანი		მარკირება არ მოითხოვება
რისკის R-ფრაზები	R31	მყავასთან შეხებისას წარმოქმნის მომწამვლელ აირებს
	R52/53	წინასწარი დამუშავების გარეშე დიდი რაოდენობით ნარჩენების ჩამდინარე წყალში ჩაღვრის შემთხვევაში შესაძლოა, ზიანი მიადგეს მიკროორგანიზმებს.
უსაფრთხოების S-ფრაზები	S 2	დაუშვებელია ბავშვების ხელში მოხვედრა
	S13	შეინახეთ საკვები ნივთიერებების, სასმელის და ცხოველის საკვებისგან მოშორებით



## ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

კლასიფიკაცია აალებადი სითხეების ინსტრუქციის მიხედვით	არ არის მოცემული									
წყლისთვის საფრთხის შემცველობის კლასი (WGK):	არ არის წყლისთვის საფრთხის შემცველი									
<b>16. დამატებითი მონაცემები</b>										
საკონტაქტო პირი: შპს „ინო-ლაბი“ ტელ. +995 322 033 233.										
<b>17. სხვა მონაცემები</b>										
<ul style="list-style-type: none"> <li>EDI-ს (შვეიცარიის შინაგან საქმეთა სამინისტროს) დადგენილება სასმელი, წყაროს და მინერალური წყლების შესახებ SR 817.022.102, სტატია 6, აბზაცი 4, სტატია 3 და სტატია 3, აბზაცი 2. EDI-ს (შვეიცარიის შინაგან საქმეთა სამინისტროს) დადგენილება სანიტარული ნორმების შესახებ, დანართი II, ჩამონათვალი B. - დადგენილება სასმელი წყლის შესახებ 2001: სტატია 5, Escheria Coli (ნაწლავის ჩხირი): 0/100 მლ, Enterokokken (ენტეროკოკები): 0/100 მლ, სტატია 6.</li> <li>დასაშვები მაჩვენებლები, ქლორიდები: 250 მგ/ლ, ნატრიუმი: 200 მგ/ლ, § 11 - დასაშვები დანამატები: NaOCl, 1,2 მგ/ლ FAC (თავისუფლად ხელმისაწვდომი ქლორი)</li> <li>ეკოტოქსიკურობა: NaOCl, LC<sub>50</sub>: თევზი, 96 სთ: 0.18 მგ/ლ, კიბოსნაირები, 48 სთ: 0.055 მგ/ლ, EC<sub>50</sub>: კიბოსნაირები, 48 სთ: 1.57 მგ/ლ, წყალმცენარეები, 96 სთ: 46 მგ.</li> </ul> <p>ამ უსაფრთხოების პასპორტის მონაცემები კეთილსინდისიერად შეესაბამება მისი დასაბეჭდად ჩაბარების დროისთვის ჩვენ ხელთ არსებულ ცოდნას. ეს მონაცემები წარმოადგენს ამ უსაფრთხოების პასპორტში დასახელებულ პროდუქტთან უსაფრთხო მოპყრობის საფუძველს მისი შენახვის, გადამუშავების, ტრანსპორტირების და უტილიზაციის დროს. ეს მონაცემები არ ვრცელდება სხვა პროდუქტებზე. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ამ უსაფრთხოების პასპორტში დასახელებული პროდუქტის სხვა ნივთიერებებთან შერევა, მისი გადამუშავება ან გაზავება სხვა ნივთიერებებით, არ შეიძლება ამგვარად მიღებულ ახალ ნივთიერებაზე ამ უსაფრთხოების პასპორტის მონაცემების გავრცელება, თუკი მასში ხაზგასმით არ არის სხვა რამ მითითებული.</p>										
<b>არტ.</b>	<table border="0"> <tr> <td>ელექსირი ვაზისთვის-100 მლ</td> <td>100მლ</td> <td>4860114170374</td> </tr> <tr> <td>ელექსირი ვაზისთვის-1 ლ</td> <td>1,0 ლ</td> <td>4860114170299</td> </tr> <tr> <td>ელექსირი ვაზისთვის-5 ლ</td> <td>5,0 ლ</td> <td>4860114170305</td> </tr> </table>	ელექსირი ვაზისთვის-100 მლ	100მლ	4860114170374	ელექსირი ვაზისთვის-1 ლ	1,0 ლ	4860114170299	ელექსირი ვაზისთვის-5 ლ	5,0 ლ	4860114170305
ელექსირი ვაზისთვის-100 მლ	100მლ	4860114170374								
ელექსირი ვაზისთვის-1 ლ	1,0 ლ	4860114170299								
ელექსირი ვაზისთვის-5 ლ	5,0 ლ	4860114170305								



## ელექსირი

წყალი სიცოცხლისთვის

მწარმოებელი:	შპს „ინო-ლაბი“ , მ.ბროსეს ქუჩა #2
პროდუქტი რეგისტრირებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ	რეგისტრირებულია საქართველოში არსებული აგროქიმიკატების რეგისტრაციის წესის თანახმად სარეგისტრაციო მოწმობა #1025

საავტორო უფლება: ინო-ლაბი

